დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“
დირექტორის ბრძანება N 56 ,, ო “ 12.08. 2021 წ

აპლიკანტთა შერჩევის წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №42/ნ 2021 წლის 2 ივლისი დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“, კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და 2021 წლის ,,მოტივაციური გასაუბრების ადმინისტრირების გზამკვლევი „ -ის საფუძველზე, წესი არეგულირებს აპლიკანტების კოლეჯში ჩარიცხვის მიზნით შერჩევა- შეფასების პროცედურებს.

მუხლი 1. აპლიკანთთა შერჩევა-შეფასებას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი შერჩევის კომისია, რომელის შემადგელობა განსაზღვრულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 14 . პუქტი1.

მუხლი 2. შერჩევის კომისია შედგება არაუმეტეს 6 წევრისა იმის გათვალისწინებით, რომ უნდა მოიცავდეს შემდეგ წევრებს: ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პირი/პირები, პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯერი, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 3. თუ კომისიის წევრი ვერ დაესწრება შეფასების პროცესს, აღნიშნულის შესახებ აცნობოს კოლეჯის დირექტორს და დირექტორის ბრძანებით ჩანაცვლდება სხვა პირით.

მუხლი 4. კომისია გასაუბრებებს ატარებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში, სპეციალურად მომზადებულ ოთახში.

მუხლი 5. შერჩევისთვის საგამოცდო სივრცის გამოყოფა, საჭირო ინვენტარით და ტექნიკური აღჭურვილობით ევალება მატერიალური რესურსების კოორდინატორს.

მუხლი 6. გასაუბრების შეუფერხებლად ადმინისტრირებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გამოყოფს შერჩევის პროცესის ადმინისტრატორს და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს:

1. შერჩევის პროცესის ადმინისტრატორის მოვალეობას წარმოადგენს აპლიკანტებსა და კომისიის წევრებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა და გასაუბრების პროცესის დაგეგმვა;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის ფუნქციაა, შერჩევის დღემდე საფუძვლიანად შეამოწმოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტის ქსელი, რათა ადმინისტრირების პროცესში მაქსიმალურად აიცილოს თავიდან შესაძლო ტექნიკური ხარვეზები;

მუხლი 7. თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შერჩევა უნდა განხორციელდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N 84 „ო“ ბრძანებით

მუხლი 8. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული,

პროგრამაზე, აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები აისხება სარეგისტრაციო სისტემაში და განთავსდება კოლეჯის ვებ. გვერდზე, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ბრძანების გამოცემისთანავე.

მუხლი 9. „კოლეჯი ვალდებულია, შერჩევის პროცესის ადმინისტრატორის საშუალებით, შერჩევის თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს გონივრულ ვადაში, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. აპლიკანტს აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა ეცნობოს ტელეფონის საშუალებით, ელექრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით და სოციალური ქსელების საშუალებით".

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N 84 „ო" ბრძანებით

მუხლი 10. კოლეჯი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

მუხლი 11. შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შერჩევის ეტაპის დაწყებამდე.

მუხლი 12. კონკურსის დღეს, შერჩევის პროცესის ადმინისტრატორმა კიდევ ერთხელ უნდა გადაამოწმოს, ინფორმირებულია თუ არა ყველა აპლიკანტი გასაუბრების თარიღის, გასაუბრების ადგილისა და მისამართის შესახებ. ადმინისტრატორმა თან უნდა იქონიოს აპლიკანტთა სია, სადაც აღნიშნავს გამოცხადდა თუ არა პროგრამაზე დარეგისტრირებული ყოველი აპლიკანტი შერჩევის ეტაპზე.

მუხლი 13. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტთა რაოდენობა დიდია და ვერ ხერხდება გასაუბრება ერთ დღეში, რეკომენდებულია გასაუბრება გაგრძელდეს მეორე დღეს. აღნიშნულის შესახებ შერჩევის პროცესის ადმინისტრატორმა აუცილებელია წინასწარ დაგეგმოს და განისაზღვროს, რამდენი დღეა საჭირო აპლიკანტთა ნაკადთან განსამკლავებლად და ინფორმაცია მიეწოდოს კომისიის წევრებს.

მუხლი 14. პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლოა განსხვავდებოდეს თითოეული აპლიკანტისთვის გამოყოფილი დრო და რეკომენდებულია იყოს არაუმეტეს 15 წუთისა;

მუხლი 15. აპლიკანტებთან გასაუბრებები მიმდინარეობს პირისპირ ფორმატში, გარდა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა (მაგალითად COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში), რა შემთხვევაშიც, შესაძლებელია გასაუბრების ონლაინ ფორმატით ჩატარება შესაბამისი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

მუხლი 16. თუ აპლიკანტს ინტერვიუს დრო ემთხვევა სხვა პროგრამის შერჩევას, (იქნება ეს იმავე თუ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში), ადმინისტრატორი აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან შეთანხმებით უნდა შეჯერდეს გასაუბრების დამატებით დროზე, რა დროსაც გასათვალისწინებელია სხვა აპლიკანტებიც, რომლებსაც შესაძლოა იმავე ან სხვა საპატიო მიზეზით უწევთ გასაუბრების გადატანა. რეკომენდებულია, აღნიშნული საკითხი ადმინისტრატორმა განიხილოს შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, რათა საკითხებზე მსჯელობამ ხელი არ შეუშალოს ინტერვიუირების პროცესს. შერჩევის ადმინისტრატორმა უნდა გადაამოწმოს EMIS-თან, მართლაც ემთხვევა თუ არა აპლიკანტს გასაუბრება სხვა გამოცდაზე, რათა გამოირიცხოს არასაპატიო მიზეზები.

მუხლი 17. მოტივაციური გასაუბრების ონლაინ ფორმატში გამართვის შემთხვევაში:
1. გასაუბრების ადმინისტრატორმა სწორად უნდა დაგეგმოს ონლაინ ჩართვების დრო, რათა გასაუბრებებს შორის არ იყოს დიდი შუალედები;

2. აუცილებელია, აპლიკანტს ჰქონდეს ვიდეოკამერა, რათა შესაძლებელი იყოს მისი ამოცნობა. ონლაინ ჩართვისას, აპლიკანტთა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი, რათა შერჩევის ადმინისტრატორმა შეძლოს პირის იდენტიფიკაცია;
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, უნდა დარწმუნდეს, რომ კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკა გამართულია და შესაძლებელია ონლაინ გასაუბრების შეუფერხებლად განხორციელება;
4. შერჩევის ადმინისტრატორმა, გასაუბრება შეუფერხებლად განხორციელებისთვის უნდა გააფრთხილოს აპლიკანტი, რომ უზრუნველყოს კარგი ინტერნეტი და ვიდეოკამერა (შესაძლებლობის შესაბამისად),
5. ონლაინ ჩართვლის დროს აპლიკანტთა შეფასება კომისიის წევრების მიერ ხორციელდება ინდეტურად, პირისპირ გასაუბრების მსგავსად. კომისიის წევრები აპლიკანტებს აფასებენ ონლაინ ფორმატში, შეფასების ფორმებით.

მუხლი 18. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შერჩევის პროცესის ადმინისტრატორი ვალდებულია :

1. შერჩევის პროცესის ადმინისტრირებამდე ელექტრონულ ბაზაში გადაამოწმოს პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტები და შეჯერდეს საბოლოო სიაზე;
2. შერჩევის პროცესის ადმინისტრებამდე, დაუკავშირდეს პროგრამაზე დარეგისტრირებულ ყველა აპლიკანტს და დარწმუნდეს, რომ ყველა მათგანი ინფორმირებულია შერჩევის თარიღების შესახებ;
3. დარწმუნდეს, რომ პროგრამაზე დარეგისტრირებულმა ყველა აპლიკანტმა იცის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისამართი და მისასვლელი გზა;
4. ინტერვიუმდე ერთი დღით ადრე დაუკავშირდეს პროგრამაზე დარეგისტრირებულ ყველა აპლიკანტს და შეახსენოს გასაუბრებაზე გამოცხადების დრო, მისამართი და გასაუბრების ხანგრძლივობა;
5. შერჩევის ადმინისტრირებამდე გადაამოწმოს ოთახი, სადაც ტარდება ინტერვიუ და დარწმუნდეს, რომ აპლიკანტებისა და ინტერვიუერებისთვის უზრუნველყოფილია მშვიდი და კომფორტული სამუშაო გარემო კოლეჯის რეგულაციების შესაბამისად.
6. აპლიკანტების მოსვლამდე თან იქონიოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების სია და გადაამოწმოს აპლიკანტების გამოცხადება შერჩევაზე ;
7. კეთილგანწყობით დახვდეს შერჩევაზე მოსულ ყველა აპლიკანტს და შერჩევის მიზნით, ინტერვიუს დაწყებამდე, მოსაცდელად შესთავაზოს მათ კომფორტული გარემო კოლეჯის რეგულაციების შესაბამისად;
8. შერჩევის მიმდინარეობის პროცესში წაუძღვეს აპლიკანტს ინტერვიუს ოთახში და გასაუბრების დასრულების შემდეგ, გააცილოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შენობიდან.
9. შერჩევის პროცესის ადმინისტრირებამდე, გადაამოწმოს აპლიკანტების მონაცემები და დარწმუნდეს, რომ შერჩევაზე მოსულია მხოლოდ კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტირებული აპლიკანტები;
10. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრს აპლიკანტთა შეფასებისას შეექმნა ტექნიკური პრობლემა, შერჩევის პროცესის ადმინისტრატორი ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთან ერთად შეეცადოს დროულად მოაგვარონ პრობლემა.

მუხლი 19. შერჩევის ადმინისტრირებისთვის დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი ვალდებულია:

1. მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს EMIS-ის თანამშრომლებთან, რომლებმაც შეიმუშავეს მეთოდის მხარდამჭერი ონლაინ პლატფორმა;
2. შერჩევის ადმინისტრირებამდე გაიაროს შესაბამისი ტრენინგი, რომელიც ეთმობა მეთოდის ზოგად გააზრებასა და მისი ადმინისტრირებისთვის საჭირო ტექნიკურ სპეციფიკაციებს, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის საჭირო მახასიათებლებს;
3. შერჩევის პროცესის ადმინისტრირებამდე საფუძვლიანად შეამოწმოს კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც შეფასებებისთვის უნდა გამოიყენონ კომისიის წევრებმა;

4. შერჩევის ადმინისტრირებამდე მცირედი ინსტრუქცია წარუდგინოს კომისიის წევრებს და დარწმუნდეს, რომ კომისიის ყველა წევრმა იცის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ელექტრონული პლატფორმა აპლიკანტთა შეფასების პროცესში.
5. შერჩევის პროცესის ადმინისტრირებამდე საფუძვლიანად შეამოწმოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ინტერნეტის ქსელი, განსაკუთრებით ინტერნეტთან იმ კომპიუტერული ტექნიკის წვდომა, რომელსაც კომისიის წევრები იყენებენ აპლიკანტთა შეფასებისას. სპეციალისტმა მაქსიმალურად უნდა შეამციროს რისკები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ინტერნეტის შეზღუდულ მიწოდებასთან;
6. ტექნიკური პრობლემის შემთხვევაში, დაუკავშირდეს პროექტის ფარგლებში დაქირავებულ ტექნიკურ პერსონალს ან განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თანამშრომლებს და მათთან კომუნიკაციით აღმოფხვრას ყველა არსებული პრობლემა.
7. გასაუბრების დასრულებისას დარწმუნდეს, რომ კომისიის ყველა წევრმა სწორად შეინახა მონაცემები და შენახვის დროს, პლატფორმა და პსდ-ის ინტერნეტი ფუნქციონირებდა გამართულად;
8. ადმინისტრირების დასრულებისას, EMIS-ის თანამშრომლებთან კომუნიკაციის საფუძველზე რწმუნდება, რომ ბაზაში აისახა ყველა აპლიკანტისა და კომისიის ყველა წევრის შეფასებები;

მუხლი 19[1]. "კოლეჯი ვალდებულია მამრობითი სქესის 17 წელს მიღწეული აპლიკანტი (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე არ ჩარიცხოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში“.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 02 მაისის N 48 „ო“ ბრძანებით.

მუხლი 20. შერჩევის ადმინისტრირებისთვის, შერჩევის კომისია, ხელმძღვანელობს ამ წესითა და შერჩევის ადმნისტრირებასთან დაკავშირებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციებითა და გზამკვლევით.